პროექტი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2011 წლის 27 მაისი ქ. ლაგოდეხი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 2 3

საწვავის შესყიდვაზე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული მდგომარეობის გამო შესყიდვის ნებართვის მიცემის შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს,რომ საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად (ყოველგვარი შესყიდვა ხორციელდება ტენდერის საშუალებით), 2011 წლის26 აპრილს (SPA110011649) გამგეობის მიერ საწვავის შესაძენად გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა (არცერთი წინადადება არ შემოსულა), 2011 წლის 19 მაისს გამოცხადდა ახალი ტენდერი საწვავის შესაძენად (SPA110013669).

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მიმდინარე წლის ივნისის თვისათვის საწვავის შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობა.

,, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ''ქვეპუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

1. მიეცეს ნებართვა მუნიციპალიტეტის გამგებელს, მიმდინარე წლის ივნისის თვეში, გამარტივებული წესით აწარმოოს სახელმწიფო შესყიდვები საწვავზე (ბენზინი-6890 ლიტრი, და ევრო-დიზელი-3000 ლიტრი) ახლად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე და საბოლოო ხელშეკულების გაფორმებამდე.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში, მისამართი 26 მაისის ქ. №19.

საკრებულოს თავმჯდომარე: /გიორგი გოზალიშვილი /